სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თერთმეტი წლის ათ ოქტომბერს მე, ნოტარიუსს ქეთევან ძლიერიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. 6, მომმართა: **უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის "ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) აკავკასიის პროგრამა ოფისი** დირექტორმა (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის "ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) აკავკასიის პროგრამა ოფისის შესახებ მომზადებული 20/05/2011 17:11:10 საიდენტიფიკაციო კოდი №203845964) **ბიორგი სანადირაძემ**

მან გამოხატა ნება წინამდებარე თანხმობის შედგენისა და მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმების. მე დავადგინე მისი პირადობა და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბიორგი სანადირაძემ** (დაბადებულმა 23.04.1960წ. თბილისში მცხოვრები ქ. თბილისი, არაყიშვილის 14, ბინა 10, პირადობის მოწმობა №ბ 0441527, პირადი № 01005003400 გაც. 20.10.2003წ. თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს საპასპორტო განყოფილების მიერ) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე თანხმობა, რომელიც წაუკითხე მას და განვუმარტე წინამდებარე თანხმობის შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან განაცხადა, რომ თანხმობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობა.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

„მე, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის "ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) აკავკასიის პროგრამა ოფისი დირექტორი ბიორგი სანადირაძე (პირადი № 01005003400), თანახმა ვარ, თბილისში, აკადემქალაქის ტყეპარკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.10.13.040.036), შ.პ.ს. "ფრეშ მენეჯმენტ ჯგუფი"-ს (ს/კ№2052785165) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო პროექტის მიხედვით, გათვალისწინებული შენობის **უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის "ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) აკავკასიის პროგრამა ოფისის** კუთვნილი უძრავი ქონების მომიჯნავე ფასადზე მოეწყოს ფანჯრების, აივნებისა და მასზე გამავალი კარის ღიობები მიწის დონიდან 3 მეტრის სიმაღლიდან ზევით, იმ პირობით, რომ შენობის ფასადი **უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის "ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) აკავკასიის პროგრამა ოფისის** კუთვნილი უძრავი ქონების მომიჯნავე საკადასტრო საზღვრიდან დაშორებული იქნება 3,75 მეტრით.
თანხმობა ჩემი სურვილითაა შედგენილი, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ორი (2) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ ოცდათექვსმეტი (36) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ჯამი: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა.

უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის
"ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) აკავკასიის პროგრამა ოფისი
დირექტორი ბიორგი სანადირაძე

ნოტარიუსი: ქეთევან ძლიერიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N121101696
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	10.10.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ძლიერიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა 6
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2380435
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	86527962687812

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

139

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 17.29.658

"2" ივლისი 2012 წ.

შპს „ფრეშ მენეჯმენტ ჯგუფისათვის" გარკვეული სამშენებლო სამუშაოების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის შესახებ

2012 წლის 1 ივნისს №124 აუქციონზე, ლოტ №14-ზე (საკადასტრო კოდი 01.10.13.040.045), გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ფრეშ მენეჯმენტ ჯგუფი". აუქციონის პირობების შესაბამისად, გამარჯვებულს საპრივატიზებო თანხის გადახდის ვადად განისაზღვრა 2012 წლის 15 დეკემბერი.

2012 წლის 5 ივლისს, ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების - მართვის სააგენტოს, №64215 ელექტრონული განცხადებით მომართა შპს „ფრეშ მენეჯმენტ ჯგუფმა" და ითხოვა თანხმობა აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის მიწისქვეშა ავტოფარეხის მოწყობაზე, რომელიც ერთიან მრავალბინიანს საცხოვრებელ სახლის პროექტში წარდგენილი იქნება, სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23^1 და 28-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა შპს „ფრეშ მენეჯმენტ ჯგუფის" 01.10.13.040.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე განახორციელოს გარკვეული სამშენებლო სამუშაოების წარმოება, სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შესაბამისად.
2. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს თბილისის მერის მოადგილეს ანდრია ურუშაძეს.
3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, მე-12 კმ, №6).

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

თბილისი 0160, ჭ. შარტავას 7; ტელ: (+995 32) 237 81 23, ფაქსი: (+995 32) 237 81 54; www.Tbilisi.gov.ge